საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებებისა და ევროკავშირის სასამართლოების მიერ განხორციელებული აქტივობები

ოქტომბერი, 2026

01

საბერძნეთის კონკურენციის კომისია

საბერძნეთის კონკურენციის კომისიამ BOOKING.COM-ის წინააღმდეგ საქმის განხილვის პროცესი დაიწყო

საბერძნეთის კონკურენციის კომისია (*HCC*) 2026 წლის 28 დეკემბერს განიხილავს საქმეს, რომელიც ეხება *Booking.com B.V.-ს (*Booking*) მიერ დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენებას ონლაინ ტურისტული სააგენტოების (*OTAs*) მეშვეობით სასტუმრო ტიპის საცხოვრებლების დაჯავშნის შუამავლობითი მომსახურების ბაზარზე.

- **სამართლებრივი საფუძველი:** საქმე ეფუძნება საბერძნეთის კონკურენციის შესახებ კანონის (Law 3959/2011) მე-2 მუხლსა და ევროპის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 102-ე მუხლს.

- **სავარაუდო დარღვევები:** მოკვლევამ დაადგინა, რომ *Booking* იყენებს პრაქტიკების ერთობლიობას, მათ შორის ძირითადი რეიტინგის მექანიზმს (*Default Ranking Mechanism*), „პრივილეგირებული პარტნიორის“ პროგრამებსა (*Preferred Partner Programmes*) და *Booking Sponsored Benefit (BSB)* ფასდაკლების სისტემას. აღნიშნული მექანიზმები სასტუმროებს უბიძგებს, *Booking*-ის პლატფორმაზე უფრო ხელსაყრელი ფასები და პირობები შესთავაზონ მომხმარებლებს, ვიდრე კონკურენტ სააგენტოებზე, რაც ზღუდავს ბაზარზე კონკურენციას.

კომპანიის მიერ შეთავაზებული ვალდებულებები და შემდგომი ნაბიჯები

კონკურენციის კომისიის წარმომადგენლებთან მუშაობის შედეგად, *Booking*-მა შესთავაზა ვალდებულებათა პაკეტი სავარაუდო დარღვევების აღმოსაფხვრელად, რომელზეც ბაზრის ტესტირება (*market test*) 2026 წლის ივლისში დასრულდა.

გამოცემული დასკვნის (*SO*) თანახმად, კომპანიის მიერ შეთავაზებული ვალდებულებები მიჩნეულია ეფექტურად ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის აღდგენისა და კონკურენციის რისკების სრულად აღმოფხვრის თვალსაზრისით. კომისია შეაფასებს, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული პაკეტი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

(შენიშვნა: საპროცესო ბრალდებათა შესახებ დასკვნა არ არის სავალდებულო ხასიათის და საბოლოო გადაწყვეტილებას HCC მხარეთა არგუმენტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მიიღებს).

წყარო:

01



პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

პოლონეთის უწყებამ HOLIDAY PARK&RESORT-ის წინააღმდეგ საქმის წარმოება დაიწყო

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისმა (UOKiK) კომპანია *Holiday Park & Resort*-ის წინააღმდეგ ორი სამართლებრივი წარმოება წამოიწყო. საქმე ეხება მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესების დარღვევასა და ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში არსებულ უსამართლო (აკრძალულ) დებულებებს.



უწყების კვლევით დადგინდა, რომ ონლაინ დაჯავშნისას კომპანია მომხმარებლებს თავდაპირველად ხელოვნურად დაბალ, მიმზიდველ ფასს აჩვენებდა, ხოლო მომდევნო ეტაპებზე სავალდებულო დამატებით საფასურებს ამატებდა:

- **მანიპულაციური ტარიფი:** ღამის ღირებულება იანგარიშებოდა არა სტუმრების რეალური რაოდენობით, არამედ კოტეჯის მაქსიმალური ტევადობის (9 კაცი) მიხედვით, რაც არასწორ წარმოდგენას ქმნიდა რეალურ ხარჯზე.
- **ავტომატური დამატებითი გადასახადები:** დალაგების საფასური (249.99 ზლოტი) და ეზოს სარგებლობა (დღეში 59 ზლოტი) ფორმაში წარმოდგენილი იყო, როგორც მომხმარებლის მიერ „არჩეული დამატებითი სერვისი“, თუმცა მათი გაუქმება შეუძლებელი იყო.
- **დაფარული გადასახადები:** დეპოზიტი (899 ზლოტი) და საექსპლუატაციო საფასური მცირე შრიფტით იყო მითითებული, ხოლო კომუნალური გადასახადების (ელექტროენერგია, გათბობა, წყალი) გადახდის ვალდებულებაზე ჯავშნისას საერთოდ არ მიეთითებოდა. ეს გადასახადები მხოლოდ სასტუმროდან გამოსვლისას (check-out) იანგარიშებოდა.

აღნიშნული პრაქტიკა ართულებს საცხოვრებლის რეალური ღირებულების შეფასებასა და კონკურენტულ შეთავაზებებთან მის შედარებას. ზოგ შემთხვევაში, დამატებითმა გადასახადებმა დასვენების საერთო ღირებულების ნახევარზე მეტი შეადგინა.

„მომხმარებელს არ უნდა უწევდეს დასვენების სრული ღირებულების თავად გამოთვლა ჯავშნის სხვადასხვა ეტაპზე მიფანტული ინფორმაციის შეგროვებით. დაჯავშნამდე მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, რაში იხდიან ფულს.

მეორე მოკვლევა ეხება კომპანიის უფლებამოსილებას, ცალმხრივად და განუსაზღვრელი საფუძვლებით შეცვალოს უკვე განხორციელებული ჯავშნების პირობები. UOKiK შეაფასებს, ანიჭებს თუ არა ბუნდოვანი ფორმულირებები კომპანიას ჭარბ დისკრეციულ უფლებამოსილებას.

დარღვევების დადასტურების შემთხვევაში, UOKiK-ის პრეზიდენტს უფლება აქვს აკრძალოს აღნიშნული პრაქტიკა, ბათილად ცნოს უსამართლო პირობები და კომპანიას დააკისროს ჯარიმა თითოეულ დარღვევაზე წლიური ბრუნვის 10%-მდე ოდენობით.

წყარო:

02



პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

პოლონეთის უწყებამ ოთხი ბანკი თითქმის 150 მილიონი ზლოტით დააჯარიმა



პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისმა (UOKiK) ოთხ საბანკო ინსტიტუტს *Erste Bank Polska, ING Bank Śląski, Bank Pocztowy* და *Plus Bank* ჯამში 147.09 მილიონი ზლოტის (დაახლოებით 34 მლნ ევრო) ოდენობის ჯარიმა დააკისრა. უწყების გადაწყვეტილების საფუძველი ხელშეკრულებებში არსებული უსამართლო (აკრძალული) დებულებებია, რომლებიც ბანკებს პირობების ცალმხრივად შეცვლის, არსებული ტარიფების გაზრდისა და ახალი გადასახადების დაწესების ბლანკეტურ უფლებას ანიჭებდა.

დაკისრებული სანქციების განაწილება:

- **Erste Bank Polska:** 80.68 მლნ ზლოტი
- **ING Bank Śląski:** 63.25 მლნ ზლოტი
- **Bank Pocztowy:** 2.71 მლნ ზლოტი
- **Plus Bank:** 453 ათასი ზლოტი

(აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოო არ არის და ექვემდებარება გასაჩივრებას პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სასამართლოში).

UOKiK-ის განმარტებით, ხელშეკრულების ცალმხრივი ცვლილების მექანიზმი არ უნდა ატარებდეს „ბლანკეტურ“ ხასიათს. მომხმარებელმა ფინანსურ ინსტიტუტთან გარიგების დადებისთანავე მკაფიოდ და წინასწარ უნდა იცოდეს, თუ რა კონკრეტულ პირობებში, რა ფარგლებში და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

ბანკების მიერ გამოყენებული აკრძალული პრაქტიკა:

1. **ბუნდოვანი საფუძვლები (ING Bank Śląski):** პირობების ცვლილების „საპატიო მიზეზად“ ისეთი არაზუსტი კრიტერიუმების მითითება, როგორიცაა ზედამხედველი ან „სხვა უფლებამოსილი ორგანოს“ მიერ გაცემული რეკომენდაცია თუ პოზიცია.

2. **არაპროპორციული ზრდა ინფლაციაზე მითითებით (Erste Bank Polska, ING Bank Śląski):** ინფლაციის მცირედი მატების (0.3–0.5 პროცენტული პუნქტი) ან ხელფასების ზრდის საბაბით საკომისიოების 200%-მდე გაზრდის მექანიზმები, რაც ჩვეულებრივი ეკონომიკური რყევების ფონზე გაუმართლებელ ტვირთს აკისრებდა მომხმარებელს.
3. **საოპერაციო ხარჯების კლიენტებზე გადაკისრება (Plus Bank):** ბანკის შიდა საოპერაციო და ენერგეტიკული ხარჯების ზრდის ავტომატურად მომხმარებლისთვის დაკისრება.
4. **„სერვისის გაუმჯობესების“ საბაბი (Bank Pocztowy):** საკომისიოების გაზრდა ან ახალი ტარიფების დაწესება მომსახურების არეალის გაფართოების მიზეზით.

ბანკების არგუმენტი, რომ მომხმარებელს აქვს უფლება არ დაეთანხმოს ახალ პირობებს და დახუროს ანგარიში, UOKiK-მა არ გაიზიარა. უწყების შეფასებით, საკრედიტო ხელშეკრულების შემთხვევაში, პირობებზე უარის თქმა და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მსესხებელს ავალდებულებს დავალიანება დაუყოვნებლივ და სრულად დაფაროს, რაც კლიენტს მძიმე ფინანსურ ჩიხში აყენებს.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტული პრაქტიკის (კერძოდ, საქმეები *C-472/10 Invitel* და *C-26/13 Kásler*) შესაბამისად, ხელშეკრულებაში ცალმხრივი ცვლილებების კრიტერიუმები ყოველთვის უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, მკაფიო, წინასწარ განსაზღვრული და ობიექტურად გადამოწმებადი.

[წყარო:]

01

იტალიის კონკურენციის უწყება

ევროკავშირის ღონეზე კოორდინირებული ღონისძიებები სათამაშო სექტორში

ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დაცვის უწყებებმა, ევროკომისიის კოორდინაციით, დაიწყეს კოორდინირებული ღონისძიებები ვიდეო თამაშების მწარმოებელი კომპანიების წინააღმდეგ, რისი მიზანიც გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა, ასევე მომხმარებელთა, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნების უფლებების დაცვაა.

2026 წლის 30 სექტემბერს ევროკომისიამ გამოაცხადა მომხმარებელთა დაცვის სფეროში თანამშრომლობის (CPC) ქსელის ფარგლებში კოორდინირებული ქმედებების დაწყება, (EU) 2017/2394 რეგულაციის შესაბამისად. აღნიშნული პროცესი ეხება სათამაშო სექტორში მოქმედ 10 კომპანიას: *Activision Blizzard UK Limited, Crytek GmbH, InnoGames GmbH, King.com Limited, Mojang AB, Plarium Europe S.à.r.l., PLR Worldwide Sales Limited, Riot Games Limited, Supercell Oy* და *Ubisoft EMEA SAS*. ეს ინიციატივები მიზნად ისახავს თამაშშიდა ვირტუალური ვალუტების შესახებ ევროკავშირის ძირითადი პრინციპების სრულფასოვან გამოყენებას, რათა ამაღლდეს გამჭვირვალობა და სამართლიანობა და დაცულ იქნეს ვიდეო თამაშების მომხმარებელთა, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნების, უფლებები.



ევროკომისიის მიერ გამოცხადებული კოორდინირებული ღონისძიებებიდან ერთ-ერთი წამოიწყო იტალიის კონკურენციის ეროვნულმა უწყებამ, წამყვანი ორგანოს სტატუსით, ნორვეგიისა და დანიის მომხმარებელთა დაცვის უწყებებთან ერთად. აღნიშნული ქმედება მიმართულია *Activision Blizzard UK Limited*-ისა და Microsoft-ის ჯგუფის სხვა კომპანიების წინააღმდეგ. მისი მიზანია დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი „ფართომასშტაბიან დარღვევას“ (რეგულაციის (EU) 2017/2394 მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად), ანუ ევროკავშირის მომხმარებელთა დაცვის წესების საწინააღმდეგო ისეთ ქმედებას, რომელიც სავარაუდოდ ზიანს აყენებს ევროკავშირის სამი ან მეტი წევრი სახელმწიფოს მომხმარებელთა ინტერესებს.

ეს კოორდინირებული ღონისძიება აფართოებს იმ გამოძიებების მასშტაბს, რომლებიც იტალიის უწყებამ ეროვნულ დონეზე გასულ დეკემბერში დაიწყო Microsoft-ის ჯგუფის კომპანიების წინააღმდეგ თამაშებთან *Diablo Immortal* და *Call of Duty* დაკავშირებით. უწყებამ შეშფოთება გამოთქვა აღნიშნული კომპანიების მიერ თამაშებში ვირტუალური ვალუტების გამოყენებისას გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ნაკლებობის გამო.

ონლაინ თამაშებში შიდა შესყიდვების ფასი (როგორიცაა ვიზუალური გაუმჯობესებები და იარაღის განახლების პაკეტები) ხშირად მითითებულია არა ევროში, არამედ სხვა ერთეულებში (მაგალითად: პლატინა, სფეროები ან ალმასები). თუმცა, საბოლოო ანგარიშსწორება, პირდაპირ თუ ირიბად, რამდენიმე ვირტუალური ვალუტის გავლით მაინც ევროში ხორციელდება.

ამას თან ერთვის თამაშის დიზაინის სხვა მექანიზმებიც, როგორიცაა ვირტუალური ვალუტის პაკეტებად (bundling) გაყიდვა, მანიპულაციური დიზაინის (dark patterns) გამოყენება, მშობელთა არასაკმარისი კონტროლის მექანიზმები და ანგარიშის (account) დაბლოკვისას მხარდაჭერის ნაკლებობა. აღნიშნული პრაქტიკა მოთამაშეებს, განსაკუთრებით კი მოწყვლად ჯგუფებს არასრულწლოვნებსა და სათამაშო დამოკიდებულების რისკის ქვეშ მყოფ პირებს უშლის ხელს სწორად აღიქვან და გააკონტროლონ დახარჯული ფინანსური რესურსები.

წყარო:

01



ჩეხეთის კონკურენციის დაცვის ოფისი

კაბელების მწარმოებლებმა კარტელური შეთანხმებისთვის თითქმის 2 მილიარდი ჩეხური კრონის ჯარიმა მიიღეს

ჩეხეთის კონკურენციის უწყებამ (*The Office for the Protection of Competition - ÚOHS*) კაბელების წარმოებისა და გაყიდვის სექტორში მოქმედი კომპანიების მიმართ კარტელური შეთანხმების გამო 1,942,000,000 ჩეხური კრონის ოდენობის ჯარიმა დააკისრა. ერთ-ერთი მწარმოებელი ჯარიმისგან სრულად გათავისუფლდა, რადგან უწყებას აკრძალული შეთანხმების შესახებ თავად აცნობა. გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის საბოლოო და მხარეებს აქვთ უფლება, სააპელაციო საჩივრით მიმართონ უწყების თავმჯდომარეს.

უწყებამ დაადგინა, რომ კომპანიები *Kablo Vrchlabí s.r.o., NKT s.r.o., PRAKAB Pražská Kabelovna s.r.o., PRECON s.r.o., Prysmian Kabely, s.r.o.* და *Tele-Fonika Kabely CZ s.r.o.* — შეთანხმდნენ სპილენძისა და ალუმინის შემცველი მეტალის ტელეკომუნიკაციური და ენერგეტიკული კაბელების გაყიდვის ფასის ერთიან მეთოდოლოგიაზე, კერძოდ, ე.წ. „მეტალის დანამატის“ (metal surcharge) გამოთვლის წესზე. აღნიშნულმა პრაქტიკამ დააზიანა კონკურენცია ჩეხეთის ბაზარზე და გავლენა იქონია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე.

არაკონკურენტული ფასების კოორდინაცია გრძელდებოდა:

- *NKT, PRAKAB* და *PRYSMIAN* კომპანიებში - სულ მცირე 2010 წლიდან;

- *Tele-Fonika*-ში - 2011 წლიდან;
- *PRECON*-სა და *Kablo Vrchlabí*-ში - 2020 წლიდან.

ანტიკონკურენტული ქმედებები 2022 წლის თებერვალში შეწყდა, რის შემდეგაც, იმავე წლის ივნისში, უწყებამ კომპანიების ოფისებში მოულოდნელი ინსპექციები (*dawn raids*) ჩაატარა.

კაბელის ფასი შედგება საბაზო ღირებულებისა (იზოლაცია, წარმოება, ზედნადები ხარჯები, მარჟა) და კონკრეტული ტიპის მეტალის ფასისგან, რომელიც ხშირად ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. კარტელის მონაწილეებმა შეიმუშავეს მეტალის ფასის გამოთვლის საერთო ფორმულა. კომპანიები რეგულარულად ამოწმებდნენ გამოთვლების სიზუსტეს, ადგენდნენ მათ მოქმედების ვადებს და, საჭიროების შემთხვევაში, წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე აკორექტირებდნენ მნიშვნელობებს. მიღებული მაჩვენებლები ქვეყნდებოდა ჩეხეთისა და სლოვაკეთის კაბელების მწარმოებელთა ასოციაციის მეშვეობით, აგრეთვე გაზეთში *Hospodářské noviny*.

იმის ნაცვლად, რომ თითოეულ კომპანიას ინდივიდუალურად დაედგინა მეტალის მიმდინარე ფასის გათვალისწინების მეთოდები, მათ მოახდინეს გამოთვლის სტანდარტიზაცია და რეგულარულად უზიარებდნენ ერთმანეთს მონაცემებს. ამით მხარეებმა აღმოფხვრეს ფასის დადგენის ინდივიდუალური მიდგომა და ის კოორდინირებული პრაქტიკით ჩაანაცვლეს, რამაც შეზღუდა ფასების კონკურენცია/

მოკვლევა დაიწყო კომპანია *PRAKAB*-ის მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე (*leniency application*), რომელმაც უწყებას მიაწოდა ძირითადი ინფორმაცია კარტელის არსებობისა და მუშაობის შესახებ. შედეგად, კომპანიამ სრულად აირირა თავი ანტიკონკურენტული ქმედებისთვის გათვალისწინებული ჯარიმისგან.

რაც შეეხება კომპანია *PRECON*-ს, ის ამჟამად გადის გაკოტრების/გადახდისუუნაროობის პროცესს და არ გააჩნია აქტივები, რის გამოც მას ჯარიმა არ დაეკისრა.

წყარო:

01



თურქეთის კონკურენციის უწყება

მოკვლევა და დროებითი ზომები Google-ის წინააღმდეგ

კონკურენციის შესახებ კანონის (№ 4054) 41-ე მუხლის საფუძველზე, ოფიციალურად დაიწყო მოკვლევა *Alphabet Inc.-ის, Google Ireland Limited-ის, Google LLC-ის, Google International LLC-ისა და Google Reklamcılık ve Pazarlama Ltd. Şti.*-ს (ერთობლივად *Google*) მიმართ. მოკვლევის მიზანია დადგინდეს, არღვევს თუ არა *Google Search* სერვისის ფარგლებში დანერგილი **„AI Overviews“** და **„AI Mode“** ფუნქციები იმავე კანონის მე-6 მუხლს (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება).

2026 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით (№ 26-31/932-M) დაწყებული წინასწარი შესწავლა შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

- როგორ შეცვალა *AI Overviews* და *AI Mode* ფუნქციებმა მომხმარებელთა პრაქტიკა ინფორმაციაზე წვდომისას და გამოიწვია თუ არა ამან ახალი ამბების გამომცემლებსა და სხვა კონტენტის შემქმნელებზე მიმართული ტრაფიკის შემცირება;
- წარმოადგენს თუ არა ახალი ამბების გამომცემლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არსებული პირობები უსამართლო სავაჭრო დებულებებს;
- ჰქონდა თუ არა აღნიშნულ ფუნქციებს გამომრიცხავი (*exclusionary*) ეფექტი გამომცემლების, კონტენტის შემქმნელებისა და სხვა ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტების მიმართ;
- ხორციელდებოდა თუ არა დისკრიმინაციული მიდგომა გამომცემლების მიმართ მათი კონტენტის *AI Overviews* და *AI Mode* სერვისებში გამოყენების ან ლიცენზირების კუთხით.

მოკვლევის დაწყებასთან ერთად, იმის გამო, რომ ახალი ამბების გამომცემლების მიმართ გამოვლენილი ექსპლუატაციური და გამომრიცხავი ქმედებების ნიშნები დასაბუთებული ეჭვის დონეს აღწევდა, კონკურენციის საბჭომ 2026 წლის 8 ოქტომბრის სხდომაზე (გადაწყვეტილება № 26-37/1000-423) კანონის 9.4 მუხლის საფუძველზე *Google*-ს დროებითი ზომები დააკისრა.

აღნიშნული ზომები შეეხება *Google*-ის მიერ *AI Overviews* და *AI Mode* სერვისებში გამომცემელთა კონტენტის გამოყენებასა და შესაბამის სახელშეკრულებო პირობებს. კომპანიას დაევალა:

- შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც გამორიცხავს დისკრიმინაციას გამომცემლებს შორის;
- სათანადოდ ასახოს კონტენტის გამოყენების რეალური ეკონომიკური ღირებულება;
- მისცეს გამომცემლებს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად აირჩიონ თავიანთი კონტენტის გამოყენების პირობები შესაბამის სერვისებში ისე, რომ ეს არ იყოს დამოკიდებული *Google*-ის სხვა სერვისებში მათ ვიზუალობასა და ინდექსაციაზე.

წყარო:

01



ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისია

ავსტრალიის უზენაესმა ავსტრალიის მსხვილი კვერცხის მწარმოებლების წინააღმდეგ კარტელური ბრალდებით სარჩელი შეიტანა

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის კომისიამ (*ACCC*) ფედერალურ სასამართლოში სარჩელი შეიტანა ქვეყნის უმსხვილესი კვერცხის მიმწოდებლის *Sunny Queen*-ისა და კიდევ 11 კომპანიის წინააღმდეგ. უწყება მათ წარმოებისა და მიწოდების კოორდინაციაში ადანაშაულებს.

სარჩელის თანახმად, სულ მცირე 2020 წლიდან, წამყვანი მწარმოებლები ათანხმებდნენ წარმოების მოცულობებს, განაწილებას, გაფართოების გეგმებსა და ფრინველთა განადგურებას ჭარბი მარაგების სამართავად, რამაც წლების განმავლობაში არსებითად შეამცირა კონკურენცია.

- **პრეცედენტული საქმე:** ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც *ACCC*-მა სასამართლოში „კონცერტირებული პრაქტიკის“ (თანამშრომლობა, რომელიც სცდება ბაზარზე დამოუკიდებელი რეაგირების ფარგლებს) ბრალდება წარადგინა.
- **მთავარი დარღვევები:** კომპანიები ათანხმებდნენ სავაჭრო ქსელებს, აფერხებდნენ კონკურენტების მიერ აქტივების შეძენას და ზღუდავდნენ სხვა მოთამაშეების გაყიდვებს ისეთ მსხვილ ქსელებში, როგორებიცაა *Coles, Woolworths, Aldi* თუ *Costco*.

ACCC სასამართლოსგან ფინანსურ ჯარიმებსა და მკაცრ სამართლებრივ ზომებს ითხოვს.

წყარო:

01

საფრანგეთის კონკურენციის უწყება

ლონგონის პორტი მაიოტში: საფრანგეთის კონკურენციის უწყებამ NEL ჯგუფს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის 2,1 მილიონი ევრო ჯარიმა დააკისრა



საფრანგეთის კონკურენციის უწყებამ (*Autorité de la concurrence*) დაასრულა საქმის არსებითი განხილვა და მაიოტში მოქმედი *Nel* ჯგუფის კომპანიებს ლონგონის პორტში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის ჯამში **2,162,599 ევროს** ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

უწყებამ მოკვლევისა და წინა პერიოდის სამართალდარღვევების საფუძველზე ორი ძირითადი დარღვევა გამოავლინა:

1. **ბაზრიდან განდევნა და მონოპოლიის დამყარება:** პორტის საჯარო სამსახურის კონცესიონერმა (*Mayotte Channel Gateway - MCG*) და *Nel* ჯგუფმა ბოროტად გამოიყენეს თავიანთი პოზიცია და, კონკურენციის ნაცვლად, სხვადასხვა ბერკეტითა და ზეწოლით (მათ შორის ტერიტორიებზე წვდომის შეზღუდვით, არახელსაყრელი ქვეკონტრაქტებითა და შვილობილი კომპანიის, *Manu-Port*-ის ხელოვნური წახალისებით) ბაზრიდან განდევნეს მოქმედი ოპერატორი *SMART*.
2. **უსამართლო სავაჭრო პირობები (ექსპლუატაციური ბაზა):** *MCG*-მ ადგილობრივ იმპორტიორებს დააკისრა შეუსაბამო და არარეალური ტარიფები ისეთი მომსახურებისთვის, რომლებიც რეალურად არ გაწეულა, რამაც მაიოტში იმპორტირებულ ხარჯებზე მძიმედ იმოქმედა.

უწყებამ დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია ის ფაქტი, რომ *MCG* წარმოადგენს საჯარო სამსახურის კონცესიონერს, რომელსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია. გარდა ფინანსური სანქციისა, კომპანიას დაევალა გადაწყვეტილების შემაჯამებელი ვერსიის ოფიციალურ ვებგვერდსა და პრესაში გამოქვეყნება.

დაკისრებული ჯარიმების განაწილება

კომპანია	დარღვევა 1	დარღვევა 2
MCG	€1,247,899	€781,129
Manu-Port	€7,396	-
Manut-Mayotte	€0	-
RSM	€3,042	-
SNIE	€123,133	-
MGI	€0	-
Archipel Investissement Co	€0	-

წყარო:



ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრაქტიკის მიმოხილვა - კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები (Art. 101 of TFEU) და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (Art. 102 of TFEU)

სარჩევი

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრაქტიკის მიმოხილვა - კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები (Art. 101 of TFEU) და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (Art. 102 of TFEU) 13

- აკრძალული შეთანხმებები (Art. 101 of TFEU) ..... **Error! Bookmark not defined.**
- აკრძალული შეთანხმებები (Art. 101 of TFEU) 15
- დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (Art. 102 of TFEU) 16
- დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (Art. 102 of TFEU) 17

აკრძალული შეთანხმებები (Art. 101 of TFEU)

საქმე C-2/24 P - Teva Pharmaceutical Industries and Cephalon v Commission

https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62024CJ0002

ფაქტობრივი გარემოებები

მოცემული საქმე ეხება ევროკავშირის კონკურენციის სამართალს და ფარმაცევტულ სექტორში ე.წ. „pay-for-delay“ შეთანხმებებს.

ასეთი ტიპის შეთანხმებები გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებელი კომპანია გენერიკული მედიკამენტის მწარმოებელს უხდის თანხას ბაზარზე უფრო იაფი გენერიკული ალტერნატივის შესვლის გადავადების სანაცვლოდ. ამგვარმა შეთანხმებებმა შესაძლოა შეზღუდოს კონკურენცია, რადგან ბაზარზე გენერიკული მედიკამენტების შესვლის შეფერხებით მომხმარებლებისთვის ფასები მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

Cephalon Inc. არის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნებული ბიოფარმაცევტული კომპანია, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით აწვდის როგორც ორიგინალ, ისე გენერიკულ ფარმაცევტულ პროდუქტებს. Cephalon-ის ძირითადი საქმიანობა მოიცავს კვლევასა და განვითარებას, აგრეთვე სამკურნალო საშუალებების ბაზარზე რეალიზაციას.

Teva Pharmaceutical Industries Ltd („Teva“) არის საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანია, რომელიც საქმიანობს გენერიკული სამკურნალო საშუალებების, ასევე ინოვაციური და სპეციალიზებული ფარმაცევტული პროდუქტების, აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტებისა და ურეცეპტოდ გასაცემი პროდუქტების შემუშავების, წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, Cephalon-ს ეკუთვნოდა პატენტები პრეპარატ **მოდაფინილთან** დაკავშირებით მედიკამენტთან, რომელიც ძილის დარღვევების სამკურნალოდ გამოიყენება. Teva ამ მედიკამენტის გენერიკულ ვერსიას ავითარებდა და Cephalon-ის საპატენტო უფლებებს ედავებოდა.

2005 წელს კომპანიებმა საპატენტო დავა მორიგებით დაასრულეს. Teva დათანხმდა, რომ 2012 წლის ოქტომბრამდე ევროპის ეკონომიკურ ზონაში მოდაფინილის გენერიკულ ვერსიას ბაზარზე არ შეიტანდა და გარკვეულ პატენტებს არ გაასაჩივრებდა. სანაცვლოდ, Cephalon-მა Teva-ს სხვადასხვა კომერციული სარგებელი და გადახდები შესთავაზა.

ევროკავშირის სამართლის განმარტებით, საპატენტო დავის მორიგებით დასრულება თავისთავად არ წარმოადგენს ანტიკონკურენციულ ქმედებას. თუმცა, თუ ფარმაცევტული კომპანია პოტენციურ გენერიკულ კონკურენტს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს გადასცემს ბაზარზე შესვლის გადავადების სანაცვლოდ და ამ სარგებლის გონივრული

კომერციული ახსნა, კონკურენციის გადავადების გარდა, არ არსებობს, ასეთი შეთანხმება შესაძლოა ჩაითვალოს კონკურენციის შეზღუდვად თავისი მიზნიდან გამომდინარე (restriction of competition by object) TFEU-ის 101-ე მუხლის მნიშვნელობით.

EC-ს და CJEU -ს გადაწყვეტილებები

ევროკომისიის გადაწყვეტილება: 2020 წელს ევროკომისიამ კომპანიებს ჯამში 60.5 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა, რადგან მიიჩნია, რომ შეთანხმება კონკურენციას ზღუდავდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება: 2025 წლის 23 ოქტომბერს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ კომპანიების საჩივარი არ დააკმაყოფილა და საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

აკრძალული შეთანხმებები (Art. 101 of TFEU)

SAS Cargo Group A/S and Others v European Commission

(https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62022CJ0403)

ფაქტობრივი გარემოებები

მოცემული საქმე ეხება საჰაერო სატვირთო გადაზიდვების სფეროში მოქმედ კარტელს და **TFEU-ის 101-ე** მუხლის გამოყენებას, რომელიც კრძალავს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებსა და შეთანხმებულ მოქმედებებს.

კერძოდ, რამდენიმე ავიაკომპანია და საჰაერო სატვირთო გადაზიდვების კომპანია კოორდინირებულად მოქმედებდა საჰაერო ტვირთების გადაზიდვის ფასების გარკვეულ კომპონენტებთან დაკავშირებით. ეს მოიცავდა საწვავის დანამატების, უსაფრთხოების სერვისის და ამ პროდუქტსა თუ მომსახურებაზე საკომისიოს გადახდის პოლიტიკას.

EC-ის შეფასება და გადაწყვეტილება

2017 წელს კომისიამ დაადგინა, რომ მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის კონკურენციის სამართლის, TFEU-ს 101-ე მუხლის განგრძობად დარღვევაში (single and continuous infringement) და მათ ჯარიმები დააკისრა.

CJEU-ს გადაწყვეტილება

AS Cargo Group-მა, Scandinavian Airlines System-მა და SAS AB-მ გაასაჩივრეს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება. მათ შორის, სადავო იყო მათი მონაწილეობა დარღვევაში,

კომისიის იურისდიქცია გარკვეულ მომსახურებებთან მიმართებით, დაცვის უფლებები და ჯარიმების გამოთვლის მეთოდი.

2026 წლის 26 თებერვალს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განიხილა ევროკომისიის გადაწყვეტილება საჰაერო სატვირთო გადაზიდვების გლობალურ კარტელთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც დაადასტურა, რომ ავიაკომპანიები კოორდინირებულად მოქმედებდნენ საწვავის დანამატების, უსაფრთხოების დანამატებისა და აღნიშნულ დანამატებზე საკომისიოს გადახდის ნაწილში და ისეთ საფასო პოლიტიკას ატარებდნენ, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა TFEU-ს 101-ე მუხლთან.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საჩივრის ძირითადი ნაწილი არ დააკმაყოფილა, თუმცა ნაწილობრივ გაიზიარა SAS Cargo Group-ის პრეტენზია ჯარიმის გამოთვლასთან დაკავშირებით. სასამართლომ საერთო სასამართლოს მიდგომაში ჯარიმის გამოთვლისას დაშვებული შეცდომები გამოავლინა და SAS-ის კომპანიებისთვის დაკისრებული ჯარიმების ოდენობა შეამცირა.

სასამართლომ გადაწყვეტილებით შემდეგი ჯარიმები განსაზღვრა.

კომპანია / სოლიდარულად პასუხისმგებელი კომპანიები	საბოლოო ჯარიმა
Scandinavian Airlines System Denmark-Norway-Sweden (SAS Consortium)	4 744 224 ევრო
SAS Cargo Group და SAS Consortium - სოლიდარული პასუხისმგებლობა	4 069 120 ევრო
SAS Cargo Group, SAS Consortium და SAS AB - სოლიდარული პასუხისმგებლობა	4 365 056 ევრო
SAS Cargo Group და SAS AB - სოლიდარული პასუხისმგებლობა	27 730 944 ევრო
მხოლოდ SAS Cargo Group	21 974 880 ევრო

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (Art. 102 of TFEU)

Case C-123/16 P, Orange Polska v Commission - დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

(https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62016CJ0123)

ფაქტობრივი გარემოებები

ევროკომისიამ დაადგინა, რომ Orange Polska-მ, პოლონეთის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტბაზრის დომინანტმა ოპერატორმა, ბოროტად გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა, რადგან კონკურენტ ოპერატორებს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასა და საბითუმო ინტერნეტმომსახურებებზე წვდომას უზღუდავდა ან ურთულებდა.

კომისიამ კომპანიას დაახლოებით 127,6 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

Orange Polska-მ გადაწყვეტილება გაასაჩივრა CJEU-ში, მათ შორის, დარღვევის დადგენისა და ჯარიმის გამოთვლის ნაწილში.

CJEU-ს შეფასება და გადაწყვეტილება

მოცემული საქმის სამართლებრივი მნიშვნელობა არის შემდეგი: დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ მისი კონკურენტებისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურასა და საბითუმო მომსახურებებზე წვდომის შეფერხება შეიძლება წარმოადგენდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 102-ე მუხლის შესაბამისად.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საჩივარი არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა დარღვევის დადგენა და დაკისრებული ჯარიმა, კერძოდ **127,6 მილიონი ევრო.**

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (Art. 102 of TFEU)

C-152/19 P - Deutsche Telekom v Commission - დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

(https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62019CJ0152)

ფაქტობრივი გარემოებები

საქმე ეხებოდა Slovak Telekom-ს, სატელეკომუნიკაციო ოპერატორს, Deutsche Telekom-ის შვილობილ კომპანიას, რომელსაც დომინანტური მდგომარეობა ეკავა სლოვაკეთის ფართოზოლოვანი ინტერნეტმომსახურების ბაზარზე. როგორც ბაზარზე მოქმედ დომინანტ ოპერატორს, მას კონტროლი ჰქონდა ადგილობრივი სააბონენტო ხაზების ინფრასტრუქტურაზე, რომელიც კონკურენტ სატელეკომუნიკაციო ოპერატორებს საბოლოო მომხმარებლებისთვის ფართოზოლოვანი ინტერნეტმომსახურების

შეთავაზებისთვის სჭირდებოდათ. მოქმედი სექტორული რეგულირების ფარგლებში Slovak Telekom-ს სხვა კონკურენტი ოპერატორებისთვის აღნიშნულ ინფრასტრუქტურაზე წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრებოდა, თუმცა მის მიერ დაწესებული პირობები მოცემულ ინფრასტრუქტურაზე დაშვებასთან დაკავშირებით, კონკურენტებს ეფექტიან კონკურენციაში ხელს უშლიდა.

EC-ის შეფასება და გადაწყვეტილება

ევროკომისიამ დაადგინა, რომ მარჟის შევიწროება წარმოიშობა მაშინ, როდესაც ვერტიკალურად ინტეგრირებული დომინანტი საწარმოს მიერ კონკურენტებისთვის დაწესებულ საბითუმო ფასსა და მის მიერ საბოლოო მომხმარებლებისთვის შეთავაზებულ საცალო ფასს შორის სხვაობა არასაკმარისია იმისთვის, რომ თანაბრად ეფექტიანმა კონკურენტმა ბაზარზე მომგებიანად საქმიანობა შეძლოს და დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, კერძოდ, მარჟის შეზღუდვას (margin squeeze).

კომისიამ დარღვევისთვის პასუხისმგებლობა როგორც Slovak Telekom-ს, ისე მის მშობელ კომპანიას Deutsche Telekom-ს დააკისრა. Deutsche Telekom-მა გადაწყვეტილება გაასაჩივრა და სადავო გახადა როგორც ქცევის შეფასება, ისე შვილობილი კომპანიის ქმედებებისთვის მშობელი კომპანიის პასუხისმგებლობა.

კომისიამ Slovak Telekom-ს ჯარიმა დააკისრა, ხოლო მის მშობელ კომპანიას, Deutsche Telekom-ს, დარღვევისთვის სოლიდარული პასუხისმგებლობა დააკისრა, კერძოდ 28 061 963 ევროს ოდენობის ჯარიმა Deutsche Telekom-სა და Slovak Telekom-ს სოლიდარულად დაეკისრათ.

კომპანიებმა კომისიის გადაწყვეტილება CJEU-ში გაასაჩივრეს,

CJEU-ს გადაწყვეტილება

სასამართლომ Deutsche Telekom-ის საჩივარი არ დააკმაყოფილა, რის შედეგადაც ძალაში დარჩა ევროკომისიის გადაწყვეტილება და შესაბამისი ჯარიმ

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"